

ავტობიოგრაფია

ნათია ბუსკაძე დავიბადე 1981 წლის 3 ივლისს, ქ. თბილისში. 1998 წელს დავამთავრე ზაჰესის საჯარო სკოლა და იმავე წელს ჩავაბარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (სპეციალობა - სამართალმცოდნეობა), რომელიც წარჩინებით დავამთავრე 2003 წელს.

2003 წლის 1 ოქტომბრიდან ხელშეკრულებით დავინიშნე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში, სპეციალისტის თანამდებობაზე, 2005 წლის 1 მაისიდან დავინიშნე ამავე პალატაში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე, 2007 წლის 22 იანვრიდან - ამავე პალატის სამდივნოში რეფერენტის თანამდებობაზე, ხოლო 2008 წლის 27 ნოემბრიდან 2011 წლის 1 თებერვლამდე ვმუშაობდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე.

2011 წლის 1 თებერვლიდან ვმუშაობდი საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, სამართლებრივი უზრუნველყოფის, რეგისტრაციისა და ნოტარიატის დეპარტამენტში მრჩევლის (I კატეგორია) მოვალეობის შემსრულებლად.

2006 წელს სამოსამართლო სწავლების ცენტრში გავიარე მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი და ჩავაბარე სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტესტური პროგრამა. 2010 წელს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სპეციალიზაციით.

2011 წელს ჩავირიცხე მსმენელად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლაში და წარმატებით დავძლიე სასწავლო პროგრამა. 2012 წლის ოქტომბრიდან დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.